

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ზ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაიჩიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ 12 2014 წელი

ეგზ. № 2

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის
ანგარიში *აღ 46/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის მიდგომა	6
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	7
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	9
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	10
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები	10
სხვა საგადასახადო აქტივი	11
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	11
სხვა მატერიალური მარაგები	12
შენობა - ნაგებობები	15
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	16
საგადასახადო ვალდებულებები	16
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	17
პროცენტი	18
ქუჩები	19
ინვენტარიზაცია	20
საცნობარო მუხლები	21
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	22
საურავი	22
აუდიტის დასკვნა	23
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	24
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	24
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები	24

სხვა საგადასახადო აქტივი.....	25
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	25
სხვა მატერიალური მარაგები	26
შენობა - ნაგებობები.....	29
მანქანა-დანადგრები და ინვენტარი	30
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები.....	31
საგადასახადო ვალდებულებები.....	31
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	32
პროცენტი.....	33
ქუჩები.....	34
ინვენტარიზაცია	35
საცნობარო მუხლები	36
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	37
საურავი	37
აუდიტის დასკვნა.....	38
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	39
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	52
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	65
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	65

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტი ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ოპერაციები სავარაუდოდ საიმედოდ არის წარმოდგენილი. გამგეობის შესაბამის სამსახურებს შემუშავებული აქვს გარკვეული კონტროლის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის ზუსტი და საიმედო აღრიცხვა.

ორგანიზაციაში მიმდინარე ცალკეული სამეურნეო ოპერაციების პროცესის აღწერის შედეგად გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;

- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოჯვანა;
- ✓ მატერიალური მარაგების სათანადო აღრიცხვა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია როგორც სარწმუნო.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 10 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ორგანოს. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ფართობია 60 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 116.1 ათასს კაცს¹.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 86 352.0 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან, შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და ფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

¹ წყარო: www.nala.ge


² აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ცხრილი 1. თვითმმართველი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
შემოსავლები	39 929	43 574.9	83 503.9
გადასახადები	5 913.6	10 938.5	16 852.1
გრანტები	30 040.9	28 156	58 196.9
სხვა შემოსავლები	3 974.5	4 480.4	8 454.9
არაფინანსურია ქტივების კლება	2 010.8	718	2 728.8
ფინანსური აქტივების კლება	119.3	0	119.3

შემოსულობებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები. 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების თანაფარდობას აქვს შემდეგი სახე:

დიაგრამა 1. თვითმმართველი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 84 564.3 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯები იყო 64 344.5 ათასი ლარი,

არაფინანსური აქტივების ზრდა - 18 684.8 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება - 1 535.0 ათასი ლარი.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ - კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული იყო შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ომის ვეტერანთა ხსოვნის უკვდავყოფა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტს 2012 წლის 31 დეკემბერს, საბანკო ამონაწერების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 914.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის აღურიცხველობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსის მუხლში - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, 914.1 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი (ფორმა №1).

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები

გარემოება: რუსთავის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ მიაწოდა ერთიანი სისტემატიზებული მონაცემთა ბაზა, სადაც აღრიცხული იქნება ყველა ქირავნობის, იჯარისა და სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლები. სავარაუდოა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია აღურიცხავი დარიცხული ჯარიმები, სანქციები და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ბალანსის აღნიშნული მუხლის სამართლიან წარდგენაზე.

ვინაიდან აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა სრულყოფილი ინფორმაცია მერიის მიერ იჯარით გაცემულ ქონებაზე მისაღები და ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების შესახებ, ამიტომ ვერ განისაზღვრა - აღნიშნული მუხლი რამდენად რეალურადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, სავარაუდოდ, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი (ფორმა №1).

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა 16.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1.0 ათასი ლარი, უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ - 14.4 ათასი ლარი და ჯარიმები - 0.6 ათასი ლარი. აღნიშნული საგადასახადო აქტივი მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში არ აუსახავს.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა საგადასახადო აქტივი“ (ფორმა №1).

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

გარემოება: ქ. რუსთავის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის მუხლში - „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, აღრიცხულია გადახდილი საშემოსავლო გადასახადი - 1.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც შემოსავლების სამსახურის შედარების აქტით არ დასტურდება.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსში, მუხლი „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, 1.4 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი (ფორმა №1).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება 1: ორგანიზაციის ბალანსში, „სხვა მატერიალურ მარაგებში“, შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონლის მუხლში, აღრიცხულია საჩუქრები და სუვენირები, საერთო ღირებულებით 33.2 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სუვენირები გადაცემულია წინა პერიოდებში და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენლობის გამო არ მომხდარა მისი ჩამოწერა ბალანსიდან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 33.2 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდა აღნიშნული მარაგის შესაბამისი პერიოდის ხარჯად ჩამოწერა, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 2: ქ. რუსთავის 2012 წლის ბალანსში, „სხვა მატერიალურ მარაგებში“ ფულადი დოკუმენტების მუხლში აღრიცხულია 21.4 ათასი ლარის ღირებულების საწვავის ტალონები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული საწვავი ფაქტობრივად გაიხარჯა 2012 წლის დეკემბერში, ხოლო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბუღალტერიას წარედგინა 2013 წლის იანვარში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ხარჯად აღიარების პერიოდად მიიჩნია ხარჯვის

დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის დრო და არა ხარჯების ფაქტობრივად გაწევის პერიოდი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 21.4 ათასი ლარით გაზრდილადა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ 21.4 ათასი ლარის ღირებულების საწვავი არ იქნა ხარჯად აღიარებული, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 3: ქ. რუსთავს 2012 წლის ბალანსში „სხვა მატერიალური მარაგების მუხლით“ ნაშთად ერიცხება 24.6 ათასი ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მარაგი გახარჯულია, თუმცა არ მომხდარა ჩამოწერა, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 24.6 ათასი ლარით გაზრდილადა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 4: ქ. რუსთავის 2012 წლის ბალანსში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხულია 41.5 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, მცირეფასიანი აქტივები ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტში უნდა აღიარდეს ხარჯად და აღირიცხოს ბალანსგარეშე ანგარიშზე „ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 41.5 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“. ასევე შემცირებულია ბალანსგარეშე ანგარიში „ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (ფორმა№1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 5: ქ. რუსთავის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხულია 1.2 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი, კერძოდ: ზეთები და საპოხი საშუალებები. მუნიციპალიტეტს მცირეფასიანი აქტივები, ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტში, უნდა ეღიარებინა შესაბამისი პერიოდის ხარჯად.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 1.2 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“ (ფორმა№1).

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

შენობა - ნაგებობები

გარემოება: 2012 წელს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის „შენობა - ნაგებობების“ მუხლში აღრიცხულია 1 988.4 ათასი ლარის ისეთი აქტივი, რომლებიც არის გარდამავალი პროექტები და მათი საბოლოო მიღება არ მომხდარა საანგარიშგებო წელს. ამასთან, აღნიშნულ აქტივებს ერიცხება ცვეთა. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, აღრიცხულ არაფინანსურ აქტივებზე სამუშაოები არ არის დასრულებული. შესაბამისად, სამეურნეო ოპერაცია ასახული უნდა იყოს არა „შენობა-ნაგებობების“ მუხლში, არამედ „დაუმთავრებელ მშენებლობაში“ და არ უნდა ერიცხებოდეს ცვეთა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 1 988.4 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „შენობა-ნაგებობები“ და შემცირებულია „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლი (ფორმა №1).
- ცვეთის დარიცხვის გამო, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №5).
- ოპერაციის არასწორი აღრიცხვის შედეგად, შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5).

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები

გარემოება: 2012 წელს მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსის მუხლში - „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“, ნაშთად ერიცხება 7 370.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულ ანგარიშში ასახულია ბალანსის აქტივების მხარეს „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით აღრიცხული აქტივები, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 7 370.0 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“ (ფორმა №1).
- აღრიცხვაში დაშვებული შეცდომის გამო, 7 370.0 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

საგადასახადო ვალდებულებები

გარემოება: რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული საგადასახადო ვალდებულება არ ემთხვევა შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედეგების აქტს³.

ცხრილი 2. საგადასახადო ვალდებულებები (ათასი ლარი)

დასახელება	ბალანსი	შედეგების აქტი	სხვაობა
მოგების გადასახადი	17.3	18.2	0.9
დღგ	128.7	143.7	15.0
საშემოსავლო გადასახადი	19.9	61.7	41.8

³ ყველა გადასახდელი გადასახადი წარმოდგენილია დარიცხული საურავის გათვალისწინებით.

სხვა გადასახადები	1 588.9	1 676.6	87.7
-------------------	---------	---------	------

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის გადასახდელი გადასახადების შესაბამისი მუხლები და „წმინდა ღირებულების“ მუხლი. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ფორმა №1, ბალანსის დანართი - ფორმა №3).

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტს, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 13 ხელშეკრულების ფარგლებში ერიცხება სესხი 8 790.9 ათასი ლარის ოდენობით⁴. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული სესხი უნდა აღირიცხოს მუხლში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღრიცხვა არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს აღებული სესხის მიმდინარე ნაწილის აღრიცხვას, ერთი მხრივ, „სხვადასხვა ხარჯების“ და მეორე მხრივ, „მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხების“ მუხლების ზრდით, რაც ასევე არასწორია.

⁴ მათ შორის, 1 280.0 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარებში, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლები „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ და „წმინდა ღირებულება“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ ხდება გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის ხარჯად აღიარება, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №2-2 და ფორმა №3).

პროცენტი

გარემოება: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ აღრიცხულია გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებზე (სესხებზე) დარიცხული პროცენტი - 61.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხებით განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები: გზების რეაბილიტაცია, საყოფაცხოვრებო ნარჩენის მოთუთიებული კონტეინერის შეძენა და მყარი ნარჩენების პროექტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, ორგანიზაციების მიერ აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების კაპიტალიზაცია შესაძლებელია სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. კაპიტალიზაცია აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:

- ✓ აქტივზე გაწეულია პირველადი დანახარჯები;
- ✓ გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები;
- ✓ დაწყებულია პირველადი სამუშაოები მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი უნდა დამატებოდეს უშუალოდ იმ აქტივის ღირებულებას, რომელზედაც მიმართულ იქნა სესხის ძირითადი თანხა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შემცირებული სახითაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლები - „არაფინანსური აქტივები“ და „წმინდა ღირებულება“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ახდენს პროცენტის ხარჯის სახით აღიარებას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახდენს პროცენტის კაპიტალიზაციას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1 და ფორმა №5).

ქუჩები

გარემოება: 2012 წელს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის მუხლში - „შენობა-ნაგებობები“, აღრიცხულია 163.3 ათასი ლარის საგზაო მონიშვნა და ასახულია, როგორც სხვა ნაგებობები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მონიშვნები გაკეთდა ისეთ ქუჩებზე, რომლებიც

ბალანსში არ არის აღრიცხული. საგზაო მონიშვნის ღირებულება უნდა ემატებოდეს უშუალოდ ქუჩის ღირებულებას და ცალკე აქტივად არ უნდა განიხილებოდეს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, არასწორადაა განსაზღვრული ცვეთის კოეფიციენტიც.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ - 163.3 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი „ქუჩების“ მუხლი და შესაბამისად, გაზრდილია „სხვა ნაგებობების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2-1 და ფორმა №5).

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2012 წელს თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია⁵ არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა:

- იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2012 წელს ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. აქტივების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი თავისსავე საკუთრებაში არსებულ ქონებასა და მატერიალური აქტივების მოძრაობაზე.

საცნობარო მუხლები

გარემოება 1: 2012 წელს ქალაქ რუსთავის ორგანიზაციის ბალანსის საცნობარო მუხლებში „პირობითი მოთხოვნები“ და „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“

⁵ მათ შორის, არ განხორციელებულა უძრავი ქონებისა და საბიზლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია, რომელიც სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ.

მუხლებში აღრიცხულია ერთი და იგივე სატრანსპორტო საშუალება, ღირებულებით 40.3 ათასი ლარი ⁶.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 40.3 ათასი ლარის ღირებულების აქტივი მუნიციპალიტეტის ბალანსში ორჯერაა აღრიცხული. შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის საცნობარო მუხლები (ფორმა №1).

გარემოება 2: 2012 წელს ქალაქ რუსთავის ორგანიზაციის ბალანსის საცნობარო მუხლში - „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“, აღრიცხულია ქვემო ქართლის გუბერნიისგან გადმოცემული 88.6 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარი. მათ შორის არის ისეთი, რომელთა ღირებულება მიღება-ჩაბარების მიხედვით, ნულია. მუნიციპალიტეტს ნულოვანი ღირებულების ინვენტარის შეფასება არ განუხორციელებია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გუბერნიისგან გადმოცემული ნულოვანი ღირებულების ინვენტარის შესაბამისი თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის საცნობარო მუხლი „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (ფორმა №1).

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

საურავი

ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, თვითმმართველი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2012 წელს საშემოსავლო გადასახადზე დარიცხულმა საურავმა შეადგინა 16.8 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს მთლიანად გადასახდელი

⁶ გაზ 3102, სახელმწიფო №AAA827.

საურავი შეადგენს 61.0 ათასს ლარს. მიმდინარე პერიოდში საურავის დარიცხვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტს წინა წლებიდან დავალიანების სახით მოჰყვება გადასახდელი გადასახადი, რომელსაც დღემდე ერიცხება საურავი. რადგან მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში რიცხავს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებას, გადარიცხულ თანხას ჯერ ექრება საურავი, ხოლო დარჩენილი თანხით იფარება საშემოსავლო გადასახადი. შედეგად, ყოველთვიურად მუნიციპალიტეტს რჩება გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადი, რაზედაც ერიცხება შესაბამისი საურავი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 31 დეკემბერს საბანკო ამონაწერების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 9 920.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის აღურიცხველობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსის მუხლში - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, 9 920.4 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი (ფორმა №1).

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები

გარემოება: რუსთავის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ მიაწოდა ერთიანი სისტემატიზებული მონაცემთა ბაზა, სადაც აღრიცხული იქნება ყველა ქირავნობის, იჯარისა და სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლები. სავარაუდოა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია აღურიცხავი დარიცხული ჯარიმები, სანქციები და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ბალანსის აღნიშნული მუხლის სამართლიან წარდგენაზე. ვინაიდან აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა სრულყოფილი ინფორმაცია მერიის მიერ იჯარით გაცემულ ქონებაზე მისაღები და ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების

შესახებ, ამიტომ ვერ განისაზღვრა, აღნიშნული მუხლი რამდენად რეალურადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად სავარაუდოდ არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ბალანსი“ (ფორმა №1).

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა 1.0 ათასი ლარის ოდენობით (გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე). შედარების აქტის მიხედვით ირკვევა, რომ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არსებული ნაშთიდან 15.0 ათასი ლარის ჩათვლა განხორციელდა 2013 წელს. შესაბამისად, უნდა მომხდარიყო აქტივის ხარჯად აღიარება.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 1.0 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა საგადასახადო აქტივი“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ 15.0 ათასი ლარის ხარჯად აღიარება არ მოხდა შესაბამისი თანხით, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2).

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

გარემოება: ქ. რუსთავის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის მუხლში - „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, აღრიცხულია გადახდილი საშემოსავლო

გადასახადი - 1.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც შემოსავლების სამსახურის შედარების აქტით არ დასტურდება.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსში მუხლი - „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, 1.4 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი (ფორმა №1).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება 1: ორგანიზაციის ბალანსში, „სხვა მატერიალურ მარაგებში“, შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონლის მუხლში, აღრიცხულია საჩუქრები და სუვენირები, საერთო ღირებულებით 33.2 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სუვენირები გადაცემულია წინა წლებში და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენლობის გამო, არ მომხდარა მისი ჩამოწერა ბალანსიდან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 33.2 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდა აღნიშნული მარაგის შესაბამისი პერიოდის ხარჯად ჩამოწერა, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ – „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 2: ქ. რუსთავის 2013 წლის ბალანსში - „სხვა მატერიალურ მარაგებში“, ფულადი დოკუმენტების მუხლში, საწყის ნაშთად ერიცხება 21.4 ათასი ლარის ღირებულების საწვავის ტალონები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული საწვავი ფაქტობრივად გაიხარჯა 2012 წლის დეკემბერში, ხოლო ხარჯვის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბუღალტერიას წარედგინა 2013 წლის იანვარში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ხარჯად აღიარების პერიოდად მიიჩნია ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის დრო და არა ხარჯების ფაქტობრივად გაწევის პერიოდი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 21.4 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლის საწყისი ნაშთი. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №5).
- იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის ხარჯი მიკუთვნებულ იქნა 2013 წელს, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2).

გარემოება 3: ქ. რუსთავს 2013 წლის ბალანსში „სხვა მატერიალური მარაგების მუხლით“ ნაშთად ერიცხება 38.1 ათასი ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მარაგი გახარჯულია, თუმცა არ მომხდარა ჩამოწერა, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 38.1 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 4: ქ. რუსთავის 2013 წლის ბალანსში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხული აქვს 144.1 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით მცირეფასიანი აქტივები ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტში აღიარებულ უნდა იქნეს ხარჯად და აღირიცხოს ბალანსგარეშე ანგარიშზე - „ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 144.1 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“. ასევე შემცირებულია ბალანსგარეშე ანგარიში - „ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 5: ქ. რუსთავის 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხული აქვს 1.2 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი, კერძოდ: ზეთები და საპოხი საშუალებები. მუნიციპალიტეტს მცირეფასიანი აქტივები, ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტში, უნდა ეღიარებინა შესაბამისი პერიოდის ხარჯად.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 1.2 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“ (ფორმა№1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

შენობა - ნაგებობები

გარემოება: 2013 წელს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხულია 3 857.2 ათასი ლარის ისეთი აქტივი, რომლებიც არის გარდამავალი პროექტები და მათი საბოლოო მიღება არ მომხდარა საანგარიშგებო წელს. ამასთან, აღნიშნულ აქტივებს ერიცხება ცვეთა. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, აღრიცხულ არაფინანსურ აქტივებზე სამუშაოები არ არის დასრულებული. შესაბამისად, სამეურნეო ოპერაცია ასახული უნდა იყოს არა „შენობა-ნაგებობების“ მუხლში, არამედ „დაუმთავრებელ მშენებლობაში“ და არ უნდა ერიცხებოდეს ცვეთა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 3 857.2 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „შენობა-ნაგებობები“ და შემცირებულია „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლი (ფორმა№1).
- ცვეთის დარიცხვის გამო, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №5).

- ოპერაციის არასწორი აღრიცხვის შედეგად, შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: 2013 წელს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის მუხლში „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ აღრიცხულია 190.3 ათასი ლარის ღირებულების ისეთი აქტივი, რომელიც შეძენილია 2013 წელს. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების მიხედვით, აღნიშნულ აქტივს 2013 წელს უნდა დარიცხვოდა ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის ხარვეზით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ცვეთის თანხით გაზრდილია ორგანიზაციის ბალანსის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ აქტივებს არ დაერიცხა ცვეთა, შესაბამისი თანხით გაზრდილდაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები

გარემოება: 2013 წელს მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსის მუხლში - „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“, ნაშთად ერიცხება 7 370.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულ ანგარიშში ასახულია ბალანსის აქტივების მხარეს „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით აღრიცხული აქტივები, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 7 370.0 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“ (ფორმა №1).
- აღრიცხვაში დაშვებული შეცდომის გამო, 7 370.0 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

საგადასახადო ვალდებულებები

გარემოება: რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული საგადასახადო ვალდებულება არ ემთხვევა შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედეგების აქტს⁷.

ცხრილი 3. საგადასახადო ვალდებულებები (ათასი ლარი)

დასახელება	ბალანსი	შედეგების აქტი	სხვაობა
მოგების გადასახადი	17.3	19.0	1.7
დღგ	128.7	153.6	24.9
საშემოსავლო გადასახადი	19.9	51.9	32

⁷ ყველა გადასახდელი გადასახადი წარმოდგენილია დარიცხული საურავის გათვალისწინებით.

სხვა გადასახადები	1 588.9	2 021.5	432.6
-------------------	---------	---------	-------

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის გადასახდელი გადასახადების შესაბამისი მუხლები და „წმინდა ღირებულების“ მუხლი. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №3).

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 11 ხელშეკრულების ფარგლებში ერიცხება სესხი 8 160.0 ათასი ლარის ოდენობით⁸. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული სესხი უნდა აღირიცხოს მუხლში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღრიცხვა არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს აღებული სესხის მიმდინარე ნაწილის აღრიცხვას, ერთი მხრივ, „სხვადასხვა ხარჯებისა“ და მეორე მხრივ, „მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხების“ მუხლების ზრდით, რაც ასევე არასწორია.

⁸ მათ შორის, 1 226.7 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარებში, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლები „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ და „წმინდა ღირებულება“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ ხდება გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის ხარჯად აღიარება, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №2-2 და ფორმა №3).

პროცენტი

გარემოება: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ აღრიცხულია გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებზე (სესხებზე) დარიცხული პროცენტი, 35.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხებით განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები: გზების რეაბილიტაცია, საყოფაცხოვრებო ნარჩენის მოთუთიებული კონტეინერის შეძენა და მყარი ნარჩენების პროექტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, ორგანიზაციების მიერ აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების კაპიტალიზაცია შესაძლებელია სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. კაპიტალიზაცია აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:

- ✓ აქტივზე გაწეულია პირველადი დანახარჯები;
- ✓ გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები;
- ✓ დაწყებულია პირველადი სამუშაოები მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი უნდა დამატებოდეს უშუალოდ იმ აქტივის ღირებულებას, რომელზედაც მიიმართა სესხის ძირითადი თანხა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლები „არაფინანსური აქტივები“ და „წმინდა ღირებულება“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ახდენს პროცენტის ხარჯის სახით აღიარებას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახდენს პროცენტის კაპიტალიზაციას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1 და ფორმა №5).

ქუჩები

გარემოება: 2013 წელს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის მუხლში - „შენობა-ნაგებობები“, აღრიცხულია 162.8 ათასი ლარის საგზაო მონიშვნა და ასახულია როგორც სხვა ნაგებობები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მონიშვნები გაკეთდა ისეთ ქუჩებზე, რომლებიც

ბალანსში არ არის აღრიცხული. საგზაო მონიშვნა უნდა ემატებოდეს უშუალოდ ქუჩის ღირებულებას და ცალკე აქტივად არ უნდა განიხილებოდეს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, არასწორადაა განსაზღვრული ცვეთის კოეფიციენტიც.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, 162.8 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი „ქუჩების“ მუხლი და შესაბამისად, გაზრდილია „სხვა ნაგებობების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5).

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდირებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2013 წელს თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია⁹ არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა:

